

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

მულტიკულტურული განათლების ასპექტები

ნინო მასურაშვილი

სურამის I საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია მულტიკულტურული განათლების პრობლემები. აღნიშნულ პროცესს უამრავი სირთულე ახლავს, რადგან პიროვნების მსოფლმხედველობას, სამყაროსა და ცხოვრებისადმი არსებით დამოკიდებულებებს ეხება.

სწავლა-სწავლებისას უმნიშვნელოვანესია პიროვნებული და ეთნიკური კულტურული ღირებულებების აღიარება/პატივისცემა. ავტორს მიაჩნია, რომ ქართველი ერის ისტორიული ცხოვრება კულტურათაშორისი დიალოგისა და მშვიდობიანი თანაარსებობის უტყუარი მთხრობელია. წარსულისა და აწმყოს ავთენტური მაგალითების მოხმობით, განხილვა-მსჯელობითა და შეფასებით შესაძლებელია მოსწავლეს ისეთი უნარ-ჩვევები გამოვუმუშაოთ, რომლებიც ამ მიმართულებით არსებული პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება.

საკვანძო სიტყვები: მულტიკულტურა, კულტურათაშორისი, ტრადიცია, პიროვნება, პრობლემა .

საგანმანათლებლო პროცესში ყოველ დროსა თუ სივრცეში მნიშვნელოვანია კულტურული ღირებულებები და სხვადასხვა კულტურათა თანაარსებობის საკითხები. კულტურა ადამიანის ყოფის განუყოფელი ნაწილია, ჩვენი შეხედულებები, დამოკიდებულებები, მიმართულებები სწორედ ამით არის გაპირობებული.

წარმოვიდგინოთ, რომ ერთი ფანჯრიდან რამდენიმე ადამიანი იყურება და აკვირდება გარემოს ... ყოველი მათგანი სხვადასხვა საგანს დაინახავს ... და თითოეულისათვის განსხვავებული რამ იქნება ყურადსაღები. არ გამოვრიცხავთ იმას, რომ ერთი ხედვაც დასაშვებია ... ეს სიტუაცია მარტივად გვცემს პასუხს დასმულ კითხვაზე ..

პრიორიტეტები, რომლებიც კულტურათაშორის ურთიერთობაშია წარმოდგენილი, განსაკუთრებით ლიტერატურის, ისტორიის, სამოქალაქო განათლებისა და ხელოვნების მასწავლებელთა სასწავლო მიზნების გამჭოლი თემებია .

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

სხვისი კულტურის პატივისცემა შენი კულტურის დაცვასაც ნიშნავს

საქართველო ოდითგან მრავალეროვანი ქვეყანაა, ქართული კულტურისათვის არ არის უცხო ტოლერანტობა და სხვისი ღირებულებების პატივისცემა. რეალური ფაქტები წარსულიდან და თანამედროვეობიდან გვცხადებენ, მოზარდმა გაიაზროს მათი მნიშვნელობა მშვიდობიანი თანაარსებობისა და ქვეყნის განვითარებისათვის. კლასიკური მაგალითი ასეთი ურთიერთობისა გახლავთ წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის დამოკიდებულება სხვა აღმსარებლობის მიმდევართა და მათი სიწმინდეების მიმართ. მას შეეძლო ერთნაირი მოწიწებით შესულიყო მეჩეთსა და ეკლესიაში ...

ჩემი პირადი გამოცდილებიდან შემიძლია მოვიყვანო არაერთი შემთხვევა, როდესაც კლასში განსხვავებული რელიგიური მრწამსის მოსწავლეები მყოფია. თავდაპირველად გაუცხოებასა და გურკვეველ ეჭვს ვგრძნობ ორივე მხრიდან --- ასეთ ბავშვებს უჭირთ ჩართვა კლასგარეშე აქტივობებში ... საკმარისია, აგრძნობინო, რომ მისი განსხვავებულობა შენთვის და მოსწავლეებისათვის ჩვეულებრივია, რომ ისინი ნდობასა და თანაგანცდას გამოხატავენ. მე, როგორც ლიტერატურის მასწავლებელი, ვასწავლი ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას. ეს კი შეუძლებელია ბიბლიის ძირითადი დოგმებისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის, კულტურის გააზრების გარეშე. განსხვავებული კულტურის (ამ შემთხვევაში აღმსარებლობის) ურთიერთობას მიადვილებს აქცენტების გაკეთება იმაზე, რომ უფალი ერთია და მასთან მისასვლელი გზა სხვადასხვა ... მთავარია, რომ ყველა კულტურა და რელიგია კეთილ საწყისს აღიარებს ... 2 წლის წინ მაჰმადიანი, იელოველი, იუდაველი მოსწავლეები მყავდა ერთ კლასში, გადავწყვიტეთ, გაგვეკეთებინა პროექტი „ეთნიკური თანხმობა სურამში“ ... პროექტზე მუშაობის პერიოდში კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ბავშვები ერთმანეთს ... შევისწავლეთ ერთმანეთის სამზარეულო, კულტურა, ტრადიციები ... თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი ნდობა მოიპოვეს, რომ სურამის სინაგოგაში დაცული უძველესი „თორის“ გადაღებისა და დათვალიერების ნებაც კი დაგვრთეს ... და ეს ყველაფერი შეგვაძლებინა კულტურათაშორისმა ურთიერთობებმა ... ისიც აღმოაჩინეს, რომ „თორა“ მოსე წინასწარმეტყველის ხუთწიგნეულია და იგი ქრისტიანთათვისაც წმინდა წიგნია. გარკვეულწილად შეხედულებათა იდენტობაც გამოიკვეთა .

კოსმოპოლიტიზმი --- საფრთხე თუ უსაფრთხო თანაარსებობის პირობა

პრობლემის სწორად გასააზრებლად სახელმძღვანელოდ მივიჩნევ გენიალური ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტურ წერილს „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“. ერთი მეორეს არ უქმნის საფრთხეს და, პირიქით ... თუ გონივრული გააზრება და დამოკიდებულება შეძლო ადამიანმა .

აი, სამი ძირითადი გზავნილი ამ წერილიდან :

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

1. ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია.

2. კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს.

3. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

ჯანსაღი კოსმოპოლიტიზმი უპირველესად, განსხვავებული კულტურისა და ეთნოსის პატივისცემასა და აღიარებას გულისხმობს, ავადმყოფური კი თითქოს ყველას აღიარებს და თვითონ არცერთს არ ეკუთვნის, არ აქვს ფესვები, არ უყვარს თავისი, არ აქვს სამშობლო და ეროვნული ფასეულობანი... „ეროვნებათა განვითარებაო ...“, ამბობს ვაჟა-ფშაველა .. ეროვნული განვითარება კი ვერ მოხდება მულტიკულტურიული განათლებისა და კულტურათაშორისი დიალოგის გარეშე.

ტრადიცია, როგორც კულტურული ღირებულება ... გაგრძელება თუ უარყოფა

ადამიანის კულტურულ სახისმეტყველებას წარმოადგენს ტრადიციები.. რომლებიც ცალსახად ვერ აღიქმება დადებით, პოზიტიურ ფენომენად ... გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას პოემა ... მარჯვენის მოჭრაც ადათია ... არაფერს ვამბობ, სისხლის აღების ველურ წესზე, რომელიც დღემდეა შემორჩენილი სვანეთში ... დიახ, ესეც კულტურულ ტონად ითვლებოდა და მისი დაცვა, ღირსების დაცვასა და ვაჟკაცობასთან იყო გათანაბრებული.

ანუ მიუღებელია ის კულტურული ქცევა, წესი, ადათი, რომელიც ადამიანის უფლებას ლახავს და კაცთმოძულეობა ასაზრდოებს ...

ისიც კარგად ვიცით, რა ბედი ეწევა იმ ადამიანს, რომელიც წინ აღუდგება სისხლსა და ხორცში ბრმად გამჯდარ ფანატიზმს ... (ფსევდოკულტურას).

აღუდა ქეთელაურის განაცხადს : -- „, წესი არ არის მტრის მოკვლა ,/თუ ხელ არ მასჭერ დანიტა“, /ვაი, ეგეთის სამართალს , / მონათლულს ცოდვა -ბრალიტა“. უპირისპირდება მთელი საზოგადოება ... მოვლენები კიდევ უფრო იძაბება და აღუდას ოჯახის თემიდან მოკვეთით მთავრდება ...

ამ არგუმენტის განზოგადება შესაძლებელია სხვა სიტუაციებშიც ... ნებისმიერ შემთხვევაში ადამიანისა და საზოგადოების კულტურულ ღირებულების (თუნდაც ის უკეთური იყოს) კრიტიკა მსხვერპლს მოითხოვს ...

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices


17 October, 2015, Materials

14 წლის პაკისტანელმა გოგონამ -- მალალა იუსაფზაიმ ღიად გაილაშქრა თალიბების უმკაცრესი წესების წინააღმდეგ, ხმა აღიმალა ქალთა განათლების უფლებების დასაცავად. სკოლიდან შინსაკენ მიმავალ გზაზე მალალას შეიარაღებული თალიბი დაესხა თავს და რამდენჯერმე ესროლა. მძიმედ დაჭრილ გოგონას სოლიდარობა მთელმა მსოფლიომ გამოუცხადა.

„ორი შესაძლებლობა მქონდა: ჩუმად ვყოფილიყავი და დავლოდებოდი, როდის მომკლავდნენ, ან მეტყვა სათქმელი და ისე მოვმკვდარიყავი. მე მეორე ვარიანტი ამოვირჩიე – გადავწყვიტე, მელაპარაკა“.--- თქვა გოგონამ, ფაქტია, რომ მსგავსი გაბედულება მხოლოდ ერთეულებს თუ გააჩნიათ .

ასეთი ანალოგიები და მათზე მსჯელობა, დისკუსიები საუკეთესო გზაა კულტურათმორისი ურთიერთობების შესასწავლად და იმის გამოსაკვეთად, რა და როგორ, რატომ და რისთვის არის გამიზნული ... მხოლოდ ამ კითხვებზე პასუხის შემდეგ არის ხელშეუხებელი სხვისი ღირებულებები ... წინააღმდეგ შემთხვევაში, კულტურული სახის მაგიერ შეიძლება დანაშაულთანაც კი გვქონდეს საქმე ... როგორც ეს აღწერილ შემთხვევებში მოხდა...

ფარდის მიღმა ანუ აისბერგის მოდელი


_ არსებულ საკითხზე საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული  „კულტურათმორისი სწავლება T-Kit “ -ში, რომელიც წარმოადგენს ტრენინგ-სახელმძღვანელოს. ამ ნაშრომში ანალოგიისათვის შემოთავაზებულია აისბერგის მოდელი , რომელიც ნათელ წარმდგენას გვიქმნის კულტურათა ხილულ და უხილავ ასპექტებზე. ხილული ნაწილი ნაკლებად უსაფრთხოა, უხილავი კი იმდენად ინტიმურია, რომ ხშირად ადამინთა და საზოგადოებათა კონფლიქტური სიტუაციების საბაზიკ კი ხდება. ასე თუ ისე , ამ უხილავი ნაწილის შეხება გარკვეულ რისკებს უკავშირდება. ცალსე თემაა ის, ჯანსაღი და მისაღებია ეს შეხედულებები სხვებისათვის თუ არა ...

The 4th Teacher Conference “University and School” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

გრაფიკი 1: კულტურა აისპარგის მრეწველის მიხედვით



რუსთაველი --მარად თანამედროვე

ინტერკულტურა სხვის აღიარებას, ტოლერანტობას , სხვადასხვა ეთნოსის კულტურათა განვითარებისათვის თანაბარ პირობებსა და შესაძლებლობებს გულისხმობს. დაუშვებელია დისკრიმინაცია , თუმცა ყველას აქვს იმის უფლება, არ ეთანხმებოდეს სხვის შეხედულებას და განსხვავდებოდეს მისაგან ...

დღეს , 21-ე საუკუნეში, გამოკვეთილად და ხმამაღლა საუბრობენ აღნიშნულ საკითხზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ხშირად ამ საუკუნის მონაპოვრადაც კი მიაჩნიათ აქცენტების გაკეთება ამ მიმართულებით ... არადა , მე-12 საუკუნეში რუსთაველის ძირითადი გზავნილი სწორედ ის არის, რომ ყოველი ადამიანი თანასწორია და განსხვავებული რელიგია და ეთნოსი არ არის არსებითი. პოემის გმირები სხვადასხვა ეროვნებისა და ქვეყნის წარმომადგენლები არიან, მათ ურთიერთობებში ეს არ არის მნიშვნელოვანი, ადამიანური დამოკიდებულებები და მარადიული ფასეულობანი ... აი, რა არის მთავარი ...

რა თქმა უნდა, რომ რუსთაველი შეგნებულად არ ასახელებს კონკრეტულ ღმერთს, რადგან ...

„ ჰე, ღმერთო, ერთო , შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა... “

პოემის გმირები განსხვავებული კულტურისა და მრწამსის ადამიანები არიან ... სწორედ ეს არის უნიკალური ... მიუხედავად ამისა, „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირთ

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ერთმანეთის მონება“. ეს განსხვავებულობა სულაც არ უშლის ხელს მათი სულების მეგობრობასა და თანაგანცდას ...

დიახ, ასე გადაჭრა ეს რთულად მოსაგვარებელი საკითხი რუსთაველმა ... პერსონაჟთა შორის მოციქულობს სიყვარული და განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანისადმი დახმარების უანგარო ნიჭი ...

„ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა , გვაქვს უთვალავი ფერთა ... ” პროლოგშივე განაცხადა სულგანათლებულმა ქართველმა ...

თუ კარგად დავუკვირდებით , „უთვალავი ფერი“ მრავალი ასპექტით შეიძლება გავიაზროთ, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ჩვენი მრავალმხრივი განსხვავებულობა და ამავდროულად მსგავსება-- ერთი სამყაროს შვილად ყოფნა .

სკოლა -- ათვლის წერტილი, საიდანაც იწყება კულტურათაშორისი ინტერაქცია

სკოლა ის ადგილია, სადაც იწყება ადამიანის ეთნიკური და კულტურული ღირებულებების გამორკვევა-გამოკვეთა. მოსწავლის აღზრდა და განვითარება წარმოუდგენელია ამ მიმართულების გათვალისწინების გარეშე. ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში სერიოზული აქცენტებია გაკეთებული ამ მხრივ. მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარშიც არის ასახული ეს მოთხოვნები...

პედაგოგი მუდამ უნდა ფიქრობდეს იმაზე, რომ მოსწავლის სულში გააღვივოს სხვისი კულტურის პატივისცემის გრძნობა. მითუმეტეს,დღეს, როდესაც თანამედროვე მშოფლიოში უმძიმესი კონფლიქტები ხდება ამ ნიადაგზე, საქართველო კი ყოველთვის იყო კულტურათა გზაჯვარედინზე და მრვალწლიანი გამოცდილებაც გვაქვს ასეთი თანაცხოვრებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.„კულტურათაშორისი სწავლება T-Kit “